

შალვა მაჭავარიანი
ოლეგ შატბერაშვილი
სიმონ თავართქილაძე
გიორგი ღალანიძე

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის
განვითარების ძირითადი ხელშემწყობი პირობები

ნამრომი შესრულებულია პროექტის „**საქართველოში მცირე და საზუალო ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები**“ - ფარგლებში. განხილულია მცირე და საზუალო ბიზნესში შექმნილი ვითარება, წარმოდგენილია წინადადებები სისტემური სახის ცვლილებების განხორციელების შესახებ.

The work has been done within the project: *“Perspectives for the European Development of Small and Medium Business in Georgia”*. There is discussed existing situation in small and medium business, and also is represented various conditions for fulfilling systematic changes.

რედაქტორი: პროფესორი შალვა მაჭავარიანი

ტექნიკური რედაქტორი: თათია ღერკენაშვილი

Editor: Professor Shalva Machavariani

Technical Editor: Tatia Gherkenashvili

გამომცემელი: კავკასიის უნივერსიტეტი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

Published by Caucasus University and Friedrich-Ebert-Stiftung.

პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის ხელშეწყობით.

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ავტორთა პირადი მოსაზრებები. დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების კომერციული მიზნით გამოყენება ფონდის თანხმობის გარეშე.

Project is supported by the Friedrich-Ebert-Stiftung.

The views expressed in this publication belong to the experts. Commercial use of all media published by FES is not permitted without the written consent of Friedrich-Ebert-Stiftung.

წინასიტყვაობა

საზოგადოდ ცნობილია მცირე და საშუალო ბიზნესის დიდი შესაძლებლობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად. სამწუხაროდ, საქართველოში წლების განმავლობაში ვერ ხერხდება ამ პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენება. წინამდებარე წარმოადგენს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ ინიცირებული და მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევის მოკლე აღწერილობას. შედარებით ხანმოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში განხორციელდა მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებული ვითარების კომპლექსური შეფასება.

კვლევითი სამუშაოები განხორციელდა კავკასიის უნივერსიტეტის კოორდინაციით და მათში მონაწილეობდნენ აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის საინოვაციო საბჭოს, საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ექსპერტები.

მიღებული შედეგები განიხილებოდა სემინარებზე, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, აკადემიური წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენლების მონაწილეობით.

პროექტის დასრულების შემდეგ გათვალისწინებულია ანგარიშის ვრცელი ვერსიის გამოქვეყნება.

პროექტის განხორციელებას ხელი შეუწყო ფრიდრიხ ებერტის ფონდის, პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის და მონაწილე უნივერსიტეტების ხელმძღვანელობის ქმედითმა მხარდაჭერამ.

**პროფ. შალვა მაჭავარიანი
პროექტის კოორდინატორი**

წარმატებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელოვან როლს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დასაძლევად. მაგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის მთელი წარმოების 54%, მათ მიერ დასაქმებულია მომუშავეთა 55% და იქმნება ახალი სამუშაო ადგილების 66%¹. ესტონეთში² მს ბიზნესი შეადგენს მოქმედი ბიზნესის 99,8%-ს, მს-ში მუშაობს დასაქმებულთა 78,4% და მათ მიერ იქმნება დამატებული ღირებულების 74,9%. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წლის პირველი იანვრისათვის, საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში რეგისტრირებული იყო 667 363 ორგანიზაცია, მათგან 636 067 წარმოადგინდა სამწარმეო/კომერციული სახის იურიდიულ და მეწარმე ფიზიკური პირებს. მათ შორის 473 542 სუბიექტი (74,45%) ინდივიდუალური მეწარმეა, ხოლო 162 525 კომერციული იურიდიული პირია (25,55%). აქედან, 2015 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით აქტიურად საქმიანობდა მხოლოდ 118 108 (დარეგისტრირებულების 20,0%). ბიზნესის ყველაზე მეტი რაოდენობა დაკავებულია ვაჭრობითა და სარემონტო სამუშაოებით (20,7%).

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს, საქართველოში მოსახლეობის 46% და დასაქმებულების 55,6% ცხოვრობდა სოფლად. ამავდროულად ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს სოფლის მეურნეობის სექტორში საქმიანობს მოქმედი ბიზნესის სულ 0,7%.³ რომლებიც აწარმოებდნენ მთელი პროდუქციის მხოლოდ 8,4%-ს, რაც მიანიშნებს აგრობიზნესის დაბალ ეფექტიანობაზე [Machavariani Sh., 2013]. საქართველოში ბიზნესის არათანაბარ განვითარებაზე ისიც მეტყველებს, რომ მსხვილი წარმოებები, რომლებიც შეადგენენ დარეგისტრირებული საწარმოების მხოლოდ 8%, აწარმოებენ პროდუქციის 80%-ზე მეტს. შესაძარებლად, ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესების რაოდენობა შეადგენს მოქმედი ბიზნესის 99.8% (ცხრ.1), დასაქმებულია მომუშავეთა 67.1% და მათ მიერ შექმნილია დამატებული ღირებულების 57,9%⁴). ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფენ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დაბალ ეფექტიანობას, რაც გავლენას ახდენს საქართველოში შექმნილ ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაზე [Machavariani Sh., 2012].

¹ <http://www.sba.gov/content/small-business-trends>

² http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/facts-figures-analysis/performance-review/files/countries-sheets/2014/estonia_en.pdf

³ http://www.geostat.ge?action=page&p_id=151&lang=geo

⁴ http://www.geostat.ge?action=page&p_id=145&lang=geo

⁵ http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/files/craft/sme_perf_review/doc_pdf

**ზოგადი მონაცემები მცირე და საშუალო ბიზნესზე საქართველოსა და
ევროკავშირის ქვეყნებში**

(ცხრ.1)

| ევროკავშირის ქვეყნები | მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა (%) | დასაქმებულები მცირე და საშუალო საწარმოებში (%) | მს საწარმოებში შექმნილი დამატებული ღირებულება (%) |
|------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------|
| გერმანია | 99,5 | 60,1 | 53,2 |
| საფრანგეთი | 99,8 | 61,4 | 48,8 |
| ჩეხეთი | 99,7 | 68,2 | 55,4 |
| ესტონეთი | 99,6 | 78,4 | 74,9 |
| ევროკავშირის 26 ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი | 99,8 | 67,1 | 57,9 |
| საქართველო | 92,0 | 45,6 | 21,8 |

მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგიული მიდგომის არარსებობის გამო, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული მცირე ბიზნესის ხელშემწყობი პროექტები აღმოჩნდნენ ნაკლებად ეფექტუანი, ვინაიდან უკანასკმელი ათწლეულების განმავლობაში ეს ღონისძიებები ძირითადად ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდნენ და შესაბამისად ხელშესახებ შედეგს არ იძლეოდნენ. ასევე შეუძლებელია მცირე ბიზნესისათვის გაწეული ტექნიკური დახმარებების და სხვა სახის ხელშეწყობის მდგრადობის შეფასება, ვინაიდან სამწუხაროდ არც მონაცემთა ზუსტი ბაზა არსებობს და არც შედეგის თვალწათელი დადასტურება.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სამართლებრივი განსაზღვრება საკმაოდ წინააღმდეგობრივია, კანონი „მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის შესახებ“ გაუქმდებული იქნა 2006 წელს. დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობაში მხოლოდ კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ იძლევა მცირე ბიზნესის განმარტებას. მცირე საწარმოდ ითვლება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შექმნილი ყველა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური

რაოდენობა არ აღმატება 20 პირს და წლიური ბრუნვა არაუმეტესია 500 000 ლარისა. ხოლო, საშუალო ზომისაა ყველა ის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღმატება 100 ადამიანს, ხოლო წლიური ბრუნვა არაუმეტეს 1 500 000 ლარისაა. სამართლებრივი განსაზღვრებები მცირე საწარმოთა შესახებ მოცემულია აგრეთვე „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“, სადაც წარმოდგენილი მცირე ბიზნესის განსაზღვრებები წინააღმდეგობაში მოდის „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ კანონში მოცემულ დებულებებთან. კოდექსში მცირე ზომის საწარმოს წლიური ბრუნვის დაწესებული ზღვარი შეადგენს 100 000 ლარს. ხოლო, საშუალო ბიზნესის განმარტება საერთოდ არ არის მოცემული და დამატებით შემოტანილია - მიკრო ბიზნესის ცნება (ცხრ. 2).

საწარმოების გრადაცია მათი სიდიდის მიხედვით

(ცხრ. 2)

| საწარმოს სახე | დასაქმებულთა რაოდენობა | | წლიური ბრუნვა | |
|------------------|-------------------------------------------------------|-----------------------------------|----------------------------------------------------|--------------------------------------|
| | ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს კანონის მიხ. | საგადასახადო კოდექსის მიხედვით | ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს კანონის მიხ. | საგადასახადო კოდექსის მიხედვით |
| საშუალო | 100-მდე | განმარტებული არ არის | 1 500 ათ. ლარი | განმარტებული არ არის |
| მცირე | 20-მდე | განმარტებული არ არის | 500 ათ. ლარი | 100 ათ. ლარი |
| მიკრო | განმარტებული არ არის | 1 | განმარტებული არ არის | 30 ათ. ლარი |

საგულისხმოა, რომ ევროკავშირში განსხვავებულად არის წარმოდგენილი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების რანჟირება (ცხრ. 3).

2005 წლიდან ევროპული საწარმოების გრადაცია მათი სიდიდის მიხედვით⁶

(ცხრ. 3)

| საწარმოს სახეობა | დასაქმებულთა რაოდენობა | წლიური შემოსავალი |
|------------------|---------------------------|-------------------|
| სამუალო | 50 - 249 | ≥ 50 მლნ. ევრო |
| მცირე | 10 - 49 | ≥ 10 მლნ. ევრო |
| მიკრო | ≥ 9 | ≥ 2 მლნ. ევრო |

საბანკო სექტორი და მისი გამართული მუშაობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის. საქართველოში საკრედიტო რესურსი გაცილებით ძვირია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ევროპულ ქვეყნებთან შედარებით დეპოზიტებზე გასაცემი პროცენტიც და კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთებიც მაღალია. გაცემულ სესხებსა და მოზიდულ თანხას შორის სხვაობა საქართველოში სამჯერ უფრო მეტია, ვიდრე ევროპის განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემაში, ანუ ქართული ბანკები მოგების მაღალ მარჟაზე მუშაობენ. საქართველოში სესხის პროცენტი მირითადად 12%-დან იწყება და 16%-მდე ადის რეალური/ეფექტური პროცენტი 18%-დან 36%-მდეა. რთული წარმოსადგენია საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელსაც ასეთი საბანკო სესხის დასაფარად ექნება საკმარისი შემოსავალი. კითხვებს ბადებს საბანკო მომსახურების წესიც. მცირე ბიზნესთან ბანკები ფაქტობრივად ვერ და არ მუშაობენ! ბანკები გაურბიან დამწყები ბიზნესის დაფინანსებას.

კვლევის შედეგად, რომელიც საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობის შესახებ, 2015 წელს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში განხორციელდა, რესპონდენტებმა (375 გამოკითხული) გამოკვეთეს ხუთი უმთავრესი სირთულე:

- კრედიტზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი - გამოკითხულთა 72,4%;
- ბანკი კრედიტს გასცემს, მხოლოდ გირაოს და არა ბიზნეს- იდეის შეფასების საფუძველზე - გამოკითხულთა 78,3% ;
- დიდია მოთხოვნილი იპოთეკის/გირაოს ოდენობა - გამოკითხულთა 42,2%;

⁶ ec.europa: eu/research/sme-techweb/pdf/sme-definition_en.pdf

4. ბიუროკრატიულია კრედიტის აღების პროცედურები და დროს მოითხოვს - გამოკითხულთა 41,9%;
5. ბანკის მხრიდან ცალმხრივად ირღვევა სესხის პირობები - გამოკითხულთა 7,2%.
- მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობა განპირობებულია მათი ინოვაციური შესაძლებლობით. ”გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის” [The Global Competitiveness Report, 2014-2015], თანახმად, საქართველოს ინოვაციური პოტენციალი საკმაოდ დაბალია, თავისი რეიტინგით იკავებს მხოლოდ 121-ე ადგილს (გამომდინარე ”ინოვაციურობის რეიტინგის” განმსაზღვრული კომპონენტების არასახარბიერო პოზიციიდან) (ცხრ. 4).

საქართველოს ”ინოვაციურობის” რეიტინგის განმსაზღვრელი კომპონენტები
(ცხრ. 4)

| # | ინოვაციური კომპონენტი | სარეიტინგო ადგილი |
|---|------------------------------------------------------------------------|-------------------|
| 1 | ინოვაციური შესაძლებლობები | 110 |
| 2 | სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხი | 119 |
| 3 | კომპანიების დანახარჯი კვლევასა და განვითარებაზე | 126 |
| 4 | უნივერსიტეტებისა და წარმოების თანამშრომლობა კვლევებსა და განვითარებაში | 128 |
| 5 | ინოვაციური პროდუქციის სამთავრობო შესყიდვები | 69 |
| 6 | მეცნიერებისა და ინჟინრების რაოდენობა | 122 |
| 7 | პატენტების რაოდენობა მილიონ მოსახლეზე | 65 |

ინოვაცია დღეს მიჩნეულია ბიზნესის განვითარების უმთავრეს ინსტრუმენტად [Drucker, Peter F., 1999]. ამ მიზეზით ის აღიარებულია ევროპაში ბიზნესის ხელშემწყები სახელმწიფო პოლიტიკის ქვაკუთხედად [Europe 2020: A European Strategy for Smart, Sustainable, and Inclusive Growth, 2010], [Research and Entrepreneurship: A New Innovation Strategy for Europe, 2008].

მცირე და საშუალო ბიზნესი დგას სხვა მრავალი პრობლემის წინაშე (ცოდნის ნაკლებობა რესურსების მართვის, ახალი ბაზრების მოძიების, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, სამუშაო პროცესების სრულყოფის, საგადასახადო საკითხების გადაწყვეტის, სახსრების მოზიდვის და ა.შ. საკითხების გადასაწყვეტად). სახსრების ნაკლებობის გამო, გამოკითხულ იქნა მცირე და საშუალო ბიზნესის მხოლოდ 5%-დე (ისინიც ეპიზოდურად სარგებლობენ საკონსულტაციო კომპანიების მომსახურებით).

კვალიფიციური კადრების მომზადება მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ითვლება უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. გლობალური კონკურენტუნარიანობის ამავე ანგარიშის თანახმად, უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს უკავია 92-ე ადგილი, რაც აგრეთვე მეტად საგანგაშო მონაცემია.

2010-2013 წლებში ევროკავშირის პროექტის (Project “IncoNet Ca/SC”) ფარგლებში განხორციელებული კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა საქართველოში ბიზნესის სუსტი განვითარების, დაბალი ინოვაციურობისა და უმაღლესი განათლების დაწესებულებებში შექმნილი არასათანადო მდგომარეობის ძირითადი გამომწვევი მიზეზები: ა) ძალზე სუსტი კავშირი ბიზნესის საჭიროებსა და მეცნიერების მხრიდან ბიზნესისათვის განხორციელებულ შეთავიზებებს შორის. ბ) უნივერსიტეტებში სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების ერთმანეთისაგან დისტანცირება. გ) უნივერსიტეტებში (ძირითადად გამოყენებითი მეცნიერების დარგებში) სწავლების პროცესის სუსტი ორიენტაცია მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობაზე.

საქართველოში ბიზნესის განვითარება მნიშვნელოვანწილად იზღუდება კვლევითი სექტორიდან მიწოდებული ინოვაციების ნაკლებობის გამო, ხოლო ბიზნესის მხრიდან დაკვეთების სიმცირის მიზეზით, ვერ ხერხდება საუნივერსიტეტო მეცნიერების სათანადოდ დაფინანსება. თავის მხრივ სტუდენტების კვლევებში ჩართულობის გარშემ შეუძლებელია სწავლების ხარისხის ამაღლება. ჯერ კიდევ 2007 წელს, არქიმედეს ფონდის პროექტის⁷ განხორციელების შედეგად დადგინდა რომ არსებობს აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშემლელი სხვა მიზეზებიც: ქვეყანაში ინოვაციური სტრატეგიის უქონლობა, მაღალტექნოლოგიური ორგანიზაციების სიმცირე⁸, დამწყები ბიზნესისათვის ბიზნეს-აქსელერატორების არ არსებობა, ჩამოყალიბებელი ინფრასტრუქტურა, კონკურენტულ პირობებში ორგანიზაციის მართვის განსახორციელებლად საჭირო ცოდნის ნაკლებობა, თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძენად საჭირო სახსრების უქონლობა, კვლევების სუსტი კოორდინაცია, ინოვაციებზე მიმართული კვლევების არასათანადოდ დაფინანსება, კვლევითი მომსახურების სისტემების სისუსტე (საპატენტო, სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციის, ტესტირების, სტანდარტიზაციის, გეოდეზის, გეოლოგიისა და სხვა), კვლევებისა და ინოვაციების შესახებ სტრატეგიული

⁷ Seventh Framework Programme, Project: “IncoNet Ca/SC”, Grant agreement #244417, 2010-2013

⁸ The Archimedes Foundation, Project: ”Analysis of Existing Georgian Key Technologies”, 2006-2007

⁹ Oleg Shatberashvili. EU Eastern Partnership Programme and Innovative SMEs. ERENET PROFILE, ISSUE 28,

Vol. VII, No. 4, 2012, pp.30-42 (ISSN 1789-624X

დოკუმენტების უქონლობა და სამართლებრივი ბაზის გაუმართაობა და ა.შ. აღნიშნული დასკვნები სხვა წლებშიც დასტურდებოდა.¹⁰,¹¹

აღწერილი პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტისათვის აუცილებელია სისტემური მიღების გამოყენება. როგორც მსოფლიო პრაქტიკამ ცხადყო, პირველ რიგში საჭიროა ბიზნესის უზრუნველყოფელი სისტემების - სხვადასხვა პროფილის ბიზნეს-ინკუბატორების, საინოვაციო, კონკურენტუნარიანობისა და კომპეტენციის ცენტრების, ცოდნის ტრანსფერისათვის განკუთვნილი სტრუქტურების, საინოვაციო იდეების ბანკების, მაღალტექნოლოგიური საწარმოების ჩამოყალიბება და მათი საქმიანობის სტიმულირება.

ბიზნესის უზრუნველყოფელი სისტემის დანიშნულება

ბიზნესის უზრუნველყოფელი სისტემები წარმოადგენს ე.წ. საწარმოო-სამეცნიერო-საგანმანათლებლო კლასტერებს, რომელთა უმთავრესი დანიშნულებაა ინოვაციური პროდუქციით ბიზნესის უზრუნველყოფა და ამით მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ბიზნესის ხელშემწყობი სტრუქტურები წარმოადგენს ერთგვარ „ზიდს“ ბიზნესს, მეცნიერებასა და სწავლებას შორის.


აღნიშნული სტრუქტურების დახმარებით:

- ყალიბდება ახალი საწარმოები (ძირითადად მცირე და საშუალო) და ხელი ეწყობა მათ შემდგომ წარმატებულ საქმიანობას;
- ბიზნესი იმაღლებს თავის კონკურენტუნარიანობასა და ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს;
- ხდება ბიზნესისა და სამეცნიერო ორგანიზაციების ურთიერთდაინტერესება;
- საინოვაციო პროდუქციის კომერციალიზაციის შედეგად, იზრდება უნივერსიტეტების კვლევითი სექტორების დაფინანსება და ხელი ეწყობა საუნივერსიტეტო მეცნიერების განვითარებას;
- სტუდენტებს ექმნებათ ფართო შესაძლებლობა ჩაერთონ ბიზნესის ხელშეწყობის პროცესში. შემენილი ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები გაუადვილებთ მათ ჩამოყალიბდნენ კვალიფიციურ სპეციალისტებად.

¹⁰ Oleg Shatberashvili. Innovation Processes and Good Governance: Opportunities in the Framework of the EU Eastern Partnership Initiative In book: Josef Gogodze, Ed., EU Eastern Partnership Programme and Prospects for Innovative Development of Georgia, ESIDG, Tbilisi, 2011, pp. 13-48 (in Georgia).

¹¹ GIZ Private Sector Development Programme Georgia. Analysis of the National Innovation System in Georgia. March 2013

ბიზნეს-ინკუბატორი ბიზნესის ხელშემწყობი სტრუქტურების საკვანძო ელემენტია. თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, გამოიყენება ერთპროფილიანი, მრავალპროფილიანი, ტექნოლოგიური, შერეული და ვირტუალური სახის ბიზნეს-ინკუბატორები. სხვადასხვა სახის ინკუბატორების გაერთიანებები გვხდება ტექნოლოგიური პარკებისა და სამუცნიერო პარკების სახით. ნახ. 1-ზე ნაჩვენებია მსოფლიოში ბიზნეს-ინკუბატორების რაოდენობის ზრდის დინამიკა, მათზე წარმოქმნილი მზარდი მოთხოვნილებიდან გამომდინარე. ბიზნეს-ინკუბატორების გამოყენების არეალი საკმაოდ ფართოა [Business Incubators, 2014], არსებული მონაცემების მიხედვით, დღეს ისინი დიდი წარმატებით გამოიყენება ეკონომიკის ყველა სექტორში. ბიზნეს-ინკუბატორებზე განსაკუთრებით მაღალია მოთხოვნა გადამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის, აგრობიზნესის, ტურიზმის სფეროში მოქმედი მცირე და სამუალო ბიზნესის მხრიდან [Liargovas P., 2013].



@ Copyright 2012, Vasily Ryzhonkov, CrowdSynergy (www.crowdsynergy.com)

ნახ. 1 მსოფლიოში ბიზნეს ინკუბატორების რაოდენობის ზრდის დინამიკა

საინვაციო ცენტრები, როგორც წესი, ჩამოყალიბებულია უნივერსიტეტებთან და კვლევით დაწესებულებებთან. მათი მირითადი დანიშნულებაა ბიზნესის მოთხოვნების გამოვლენის

შესაბამისად, კვლევითი საქმიანობის ორგანიზება სხვადასხვა სახის ინოვაციების (საპროდუქტო, საპროცესო, ტექნოლოგიური, საორგანიზაციო, მარკეტინგული, სტრატეგიული) შესაქმნელად, რაციონალიზატორული წინადადების მოსამზადებლად და მათი კომერციალიზაციის ხელშესაწყობად.

კონკურენტუნარიანობის (ან კომპეტენციის) ცენტრები (ზოგჯერ გამოიყენება განსხვავებული დასახელებები) ყალიბდება ძირითადად ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ადგილობრივი და უცხოური ბაზრების შესწავლისა და ამ ბაზრებზე გასასვლელად ბიზნესის ინფორმირებისა და კონსულტირებისათვის. ხშირად ამ ცენტრების საქმიანობა განსაზღვრულია კონკურენტუნარიანობის ეროვნული ანგარიშის მიხედვით, ხოლო მათი საქმიანობის ოპერატიულ მართვას ანხორციელებს ეროვნული კონკურენტუნარიანობის საბჭო.

საინოვაციო იდეების ბანკები იქმნება ბიზნესისათვის საინტერესო იდეებისა და წინადადებების აკუმულირების, სისტემატიზაციისა და მომხმარებლებისათვის მათი მიწოდებისათვის. საინოვაციო იდეების ბანკები ყალიბდება უნივერსიტეტებისა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ, ბიზნეს-იდეების მომიების, გაცვლისა და მათი რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით. საინოვაციო იდეების ბანკებს კავშირი აქვთ ბიზნეს-ინკუბატორებთან, საინოვაციო ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან, აგრეთვე ადგილობრივ და საზღვარგარეთის ანალოგიურ სტრუქტურებთან, საპატენტო ორგანიზაციებთან, კერძო პირებთან [Report „Pre-incubation Instruments – Application and Effectiveness Assessment”, 2012].

უკანასკნელ ხანს გაიზარდა ბიზნესის ხელშემწყობი ვირტუალური სახის სტრუქტურების რიცხვი, რომლებიც დისტანციურად ახორციელებს ცოდნის ტრანსფერს (ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესისათვის) თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით [Virtual Business Incubation Services, 2011]. მათი დანიშნულებაა ბიზნესის კონსულტირება და შეუფეხებელი კავშირის უზრუნველყოფა საინოვაციო ცენტრებთან, საინოვაციო იდეების ბანკებთან, კონკურენტუნარიანობისა და კომპეტენციის ცენტრებთან, სხვა ანალოგიურ ორგანიზაციებთან.

საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ბიზნესის ხელშემწყობი სტრუქტურების დამფუძნებლები არიან უნივერსიტეტები, კორპორაციები, ადგილობრივი სამთავრობო ორგანიზაციები, კერძო პირები, სხვადასხვა სახის ბიზნესი და არამომგებიანი ორგანიზაციები [Business Incubation FAQ, 2014]. ბიზნესის ხელშემწყობი სტრუქტურები საკმაოდ ნაყოფიერად

საქმიანობენ ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყნაში [Panagoitis L., 2013]. აღსანიშნავია, რომ ბიზნეს-ინკუბატორების თითქმის 25% ფუნქციონირებენ როგორც არამომგებიანი ორგანიზაციები.


საქართველოში ეფექტურად მოქმედი ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის მოდელი

საქართველოში დღეს მოქმედი ბიზნეს-ინკუბატორებიდან სულ რამდენიმე ფუნქციონირებს ამ ორგანიზაციებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად, მაგრამ ხელშემწყობი პირობების, პირველ რიგში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის, შესაბამისი საკანონდებლო ზაზის არ არსებობის, ბიზნესის ინკუბაციისათვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის გაუმართაობისა და უნივერსიტეტებთან მჭიდრო საპარტნიორო კავშირების უქონლობის გამო მათი შესაძლებლობები ძლიერ შეზღუდულია.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების, ასევე უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევებისა და მიღებული პრაქტიკული შედეგების საფუძველზე, ნახ.2-ზე წარმოდგენილია ”ბიზნესის ხელშემწყობ სისტემაში” შემავალ შეთავაზებულ კომპონენტებთან ურთიერთმიმართების სქემა. პირველ მიახლოებაში შექმნილი ”ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის” მოდელი გათვალისწინებულია საქართველოში ბიზნესის განვითარების, კვალიფიციური კადრების მომზადების, უნივერსიტეტებში სასწავლო და კვლევითი პროცესების გაუმჯობესების, საინვაციო საქმიანობის სრულყოფისა და აღნიშნული პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტისათვის [Machavariani Sh., 2012].

ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის წარმოდგენილი მოდელის ასამოქმედებლად საჭიროა:

1. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის შემუშავება;
2. სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ბიზნესის, მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებისათვის, რეალური საინოვაციო სტრატეგიის მიღება;
3. კანონის მიღება მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ;
4. ბიზნესის სარისკო (ვენჩურული) ფონდების ჩამოყალიბება;
5. საფინანსო-საბანკო სისტემის ”დაინტერესება” ბიზნესის შედაგათიანი დაკრედიტებისათვის;
6. ბიზნესის დაზღვევის საიმედო სისტემის გამართვა;



ნახ. 2 ”ბიზნესის ხელშემწყობ სისტემაში” შემავალ შეთავაზებულ კომპონენტებთან ურთიერთმიმართების სქემა.

7. შეიქმნას მცირე ბიზნესის განვითარებისა და ხელშეწყობის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული და ტაქტიკური ხასიათის ამოცანების რეალიზებას. აღნიშნულმა ორგანომ ასევე უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში მცირე ბიზნესის პოლიტიკის შემუშავებაში და განხორციელებაში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარის გაერთიანება და მათი საქმიანობის კოორდინაცია;
8. ”ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის” საპილოტე პროექტის შემუშავება და მისი საცდელ რეჟიმში ამოქმედება. მიღებული მონაცემების გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება ბიზნესის ხელშემწყობი სისტემის ეფექტიანად გამოყენება.

საქართველოში უკანასკნელ ხანს შეიქმნა წინაპირობა ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს ჩამოსაყალიბებლად:

- 1). 2012 წელს შემუშავდა სამთავრობო პროგრამა ”ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის”;
- 2). 2010 წლის 25 ივნისს საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიღებულია ”საქართველოს რეგიონალური განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია”. დამტკიცდა სახელმწიფო სტრატეგიის შესატყვისი 2011-2014 წლების სამოქმედო გეგმა;
- 3). მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგიული გეგმის პროექტი;
- 4). ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში მიღებულია გადაწყვეტილება ტექნოლოგიური პარკების ჩამოსაყალიბებლად;
- 5). შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო სამსახურები (დეკემბერი, 2012);
- 6). საქართველოს პარლამენტში ჩამოყალიბდა საინიციატივო საბჭო (მაისი, 2013);
- 7). მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ცენტრის შექმნის შესახებ (შემოდგომა, 2013);
- 8). ჩამოყალიბდა საწარმოთა განვითარების სააგენტო (თებერვალი, 2014);
- 9). შემუშავდა ქვეყნის განვითარების სტრატეგია ”საქართველო 2020” (თებერვალი, 2014);
- 10). შეიქმნა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სააგენტო (თებერვალი, 2014);
- 11). დაფუძნდა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (მარტი, 2014);
- 12). მსოფლიო ბანკის ხელშეწყობით დაიწერა საქართველოს საინიციატივო განვითარების სტრატეგია (მაისი, 2014);
- 13). ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას (ცალკე თავი ეძღვნება კვლევასა და ინოვაციას, აგრეთვე, დარგობრივ ეკონომიკური დაკავშირებულ მრავალ სხვა საკითხს) (ივნისი, 2014);
- 14). შეიქმნა საინიციატივო საბჭო პრემიერ-მინისტრის მეთაურობით (ოქტომბერი, 2014);
- 15). დაიწყო მოლაპარაკება პროგრამა ”პორიზონტ 2020”-ში გაწევრიანებაზე;
- 16). გაიზარდა მეცნიერთა ხელფასი.

ადსანიშნავია აგრეთვე, რომ მთავრობის მიერ გატარებულმა ზომებმა მოახდინა დადებითი გავლენა (თუმცა ჯერ მოკრძალებული) ინოვაციის სფეროში საქართველოს რეიტინგულ მაჩვენებლებზე. კერძოდ, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის თანახმად, რომელსაც მსოფლიო კონომიკური ფორუმი აქცევნებს, საქართველომ 2014–2015 წლებში ინოვაციურობის ინდექსის მიხედვით გადაინაცვლა 121 ადგილზე (125-დან, რომელიც მას 2010–2011 წლებში ეკავა).

დასკვნა

ბიზნესის ხელშემწყობი ეფექტიანი სისტემების დანერგვით შესაძლებელია ქვეყნის წინაშე მდგარი მრავალი პრობლემის (დაბალი საინოვაციო პოტენციალი, საუნივერსიტეტო გამოყენებითი მეცნიერების მწირი დაფინანსება, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კვლევით პროცესში იშვიათი ჩართულობა, მცირე და საშუალო ბიზნესის დაბალი კონკურენტუნარიანობა, მაღალი უმუშევრობა, ახალი სამუშაო ადგილების უმნიშვნელო რაოდენობა და ა.შ.) დიდწილად მოგვარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

Business Incubators (2014), Reference For Business, Encyclopedia for Business, 2nd ed, retrieved from:
<http://www.referenceforbusiness.com/small/Bo-Co/Business-Incubators.html>

Business Incubation FAQ, (2014), NBIA, Knowledge and Networks in Business Incubation, retrieved from: https://www.nbia.org/resource_library/faq/#4

Drucker, Peter F. (1999), Management Challenges for the 21st Century. R&I Enterprises Int., New York.

Europe 2020: A European Strategy for Smart, Sustainable, and Inclusive Growth, (2010), EU Facts, retrieved from: [file:///C:/Documents%20and%20Settings/Shalva/My%20Documents/Downloads/Europe-2020-A-European-Strategy-for-Smart-Sustainable-and-Inclusive-Growth%20\(1\).pdf](file:///C:/Documents%20and%20Settings/Shalva/My%20Documents/Downloads/Europe-2020-A-European-Strategy-for-Smart-Sustainable-and-Inclusive-Growth%20(1).pdf)

The Global Competitiveness Report 2013-2014, retrieved from:

http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2013-14.pdf

Liargovas P. (2013), Do Business Incubators and Technoparks affect regional development? A comparative study in the EU27 and the NC16 countries, retrieved from:

<http://www.ub.edu/searchproject/wp-content/uploads/2013/01/WP-4.5.pdf>

Machavariani Sh., (2013), The Need for Systematic Approach in Georgian Rural Sector for Using Innovation Effectively, publication in International Scientific-Practical Conference: The Modern Issues of the Developing Countries, Erevan, 57-68.

Machavariani Sh., (2012), Issues on Establishing Business Incubator Network in Georgia, "The Collection of Scientific Works of the Professors of Caucasus University". Caucasus University Publishing, Tb, 12-24.

Machavariani, Sh., (2008), Policy Trends and Appraisal Report (Georgia), INTAS Project, NO:06-1000017-8811, South-Caucasian Republics: Research and Development of Science, Technology and Innovation Policy (SCRIPTS).

Report „Pre-incubation Instruments – Application and Effectiveness Assessment” (2012), Small Innovative Business Support Network, European Development Regional Fund, retrieved from:
<http://www.teaduspark.ee/UserFiles/Projektid/SibNet%20veeb/Preincubation%20instruments%20-%20application%20and%20effectiveness%20assessment.pdf>

Research and Entrepreneurship: A New Innovation Strategy for Europe (2008), Knowledge Intensive Growth: European Strategies in the Global Economy. Toulouse, 7-9 July, retrieved from:
<http://www.eirma.org/sites/www.eirma.org/files/doc/external/080708-Toulouse/080701-guillecsachwald.pdf/noproxy>

Salmi J., (2009), The Challenge of Establishing Word-Class Universities. The International Bank for Reconstruction and Development/ The World Bank.

Virtual Business Incubation Servicess, (2011), prepared for InfoDev by: Triodos&Facet, retrieved from:
https://www.infodev.org/infodev-files/resource/InfodevDocuments_1144.pdf



გამომცემელი: კავკასიის უნივერსიტეტი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი.

Published by Caucasus University and Friedrich-Ebert-Stiftung.

თბილისი 2015

Tbilisi 2015

ISSN 1987- 8869

www.fes.ge

www.cu.edu.ge

